

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

დადგენილება № 28

2023 წლის 22 მაისი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტის არჩევისა და
დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის 2023 წლის არჩევის დროებითი დებულება (დანართი).

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ეთხოვოს აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს, ამა წლის 5 ივნისიდან 7 ივნისის ჩათვლით, საერთო კრების ჩატარებამდე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაევალოს აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს.

ეთხოვოს აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების ჩასატარებლად მოიწვიოს აკადემიის საერთო კრება ამა წლის 7 ივნისს, 12⁰⁰ საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთა სიითი შემადგენლობის დამტკიცება

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის არჩევა
- 3. საერთო კრების თავმჯდომარეობა დაევალოს აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს.
- 4. პრეზიდენტის კანდიდატთა წამოყენების ვადა განისაზღვროს ამა წლის 22 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით, 11⁰⁰-დან - 17⁰⁰ საათამდე.
- 5. აკადემიის პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით მასალები განთავსდეს აკადემიის ვებგვერდზე.
- 6. აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებმა პრეზიდიუმის ეს დადგენილება დროულად გააცნონ განყოფილების წევრებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

აკადემიკოსი ა. ხუროძე



6. ჭილა